


შემაღლებული სართული

1932 წელს, ჯიჯინა და ნედა ნეკებმა, ანჯელო კამპილიოსთან ერთად, პავიდან მილანში, ახალ სახლში გადასვლა გადაწყვიტეს, რომელიც მათ საშუალებას მისცემდა დამტკბარიყვნენ სასიამოვნო ბუნებით, ტექნოლოგიებსა და მოხდენილ არქიტექტურაზე უარის თქმის გარეშე. სახლის აშენება პიერო პორტალუპის, მე-20 საუკუნის მილანელ არქიტექტორს მიანდეს, რომელსაც, ჰოეპლის პლანეტარიუმის გარდა, კერძო შენობებიც ჰქონდა დაპროექტებული.

პორტალუპის პროექტი განსაკუთრებულად მრავალმხრივი და კომპლექსურია: კერძო პარკში ჩაფლული ვილა დია აუზით - ქალაქის პირველი კერძო აუზი - ჩოგბურთის კორტებით, დაჩრდილული ბილიკებით, დიდი ხეებით და განსაკუთრებით, კონსტრუქციით, რომელიც ბუნებრივად აერთიანებს თანამედროვე ფორმებს, ძვირფას მასალებსა და ფუნქციონალურობას. მე-19 საუკუნის ბოლოს არსებული ეკლექტური ვილებისგან განსხვავებით, ვილა ნეკი კამპილიო ცხოვრების ახალ სტილს წარმოაჩენს: რაციონალურს, ნათელს, ჰიგიენურს, დინამიკური სივრცეებითა და ბადისკენ გადაშლილი ფართო დიობებით.

ვილასთან მისვლა პატარა ცერემონიაში მონაწილეობას წააჰგავს. ბილიკს ნელ-ნელა მივყავართ ლომბარდიული მარმარილოთი და განსაკუთრებული ქვით მოპირკეთებულ მთავარ ფასადამდე, სადაც ნახევრადსარდაფის სართულზე ერთმანეთს ენაცვლება გრანიტისა და მარმარილოს ფილები. ნახევარწრიული მარმარილოს კიბე გადახურულია მომრგვალებული სახურავით. ეს კიბე პორტალუპის სტილის გამოხატულებაა — გომეტრიული სიმტკიცისა და სიმსუბუქის სრულყოფილი ბალანსი.

შესასვლელში გვხვდება სტუმრების მისაღებად განკუთვნილი, საკმაოდ ფართო **ჰოლი**. პორტალუპისთვის დამახასიათებელი „ბერძნული“ სტილის ბალუსტრადა გრაფიკულ დეკორს ქმნის, რომელიც სახლის სხვა დეტალებშიც მეორდება. სივრცეებს ამშვენებს ხელოვნების მრავალი ნიმუში: სირონის ნახატი „მწყემსის ოჯახი“ და არტურო მარტინის დელიკატური სკულპტურა „მკვდარი საყვარელი“. ეს ნამუშევრები ამდიდრებს სახლს და ასახავს იტალიურ გემოვნებას ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში.



ჰოლი

ბიბლიოთეკა ერთ-ერთი საუკეთესოდ შემონახული ოთახია, და პორტალუპის თანამედროვე არქიტექტურის ელევანტურობის ნათელ მაგალითს წარმოადგენს. კედლები დაფარულია პალისანდრის ხის თაროებით, რაც ქმნის ერთგვარ „სალონს სალონში“. შუქი და გამოყენებული მასალები ჰარმონიაშია ერთმანეთთან. სალონის ვიტრაჟი ბადის აღქმას აძლიერებს და გარედან სინათლე შემოაქვს.



ბიბლიოთეკა




მე-16 საუკუნის უმაქის ძვირფას ხალიჩაზე (ჰოლბაინის სახელით ცნობილი, ვინაიდან მის ნახატებზე გამოსახულ ქმნილებებს წააგავს) დგას სამუშაო მაგიდა, რომელზეც მოთავსებულია „გოგონას ბიუსტი“ — არტურო მარტინის 1921 წლის ნამუშევარი. წიგნები — ფრანგული რომანები, ხელოვნების ალბომები, სამოგზაურო გზამკვლევები — ოჯახის ლიტერატურულ და კულტურულ ინტერესებზე მეტყველებს. რომბისებური ჭერი დინამიკურ გეომეტრიულ მოტივს ქმნის, რომელიც სახლის სხვა ოთახებშიც მეორდება.

სალონს ატყვია ტომაზო ბუცის რბილი გემოვნება და არა პორტალუპის მკაცრი სტილი. ოჯახმა ბუცი რამდენიმე წლის შემდეგ მოიწვია, რათა საწყისი პროექტის ხაზები შეერბილებინა. ბუციმ მე-18 საუკუნის ელემენტები გამოიყენა: მომრგვალებული დივნები, ლუი XV-ის სტილის ჭადები, ნაქარგი ფარდები, მოოქროვილი ჩარჩოები. აქ ვილა იცვლის ატმოსფეროს — ის აღარაა მხოლოდ თანამედროვე სახლი, არამედ მილანური რეზიდენცია, რომელიც ღიაა მეგობრებისა და გამოჩენილი სტუმრებისთვის, რომელთა შორისაც ევროპული სამეფო ოჯახების წარმომადგენლებიც არიან.


სალონში დაცულია ჯან ფერარის კოლექციის მნიშვნელოვანი ნამუშევრები: მორანდის ორი ნატურმორტი ფორმისა და ფერის დახვეწილი ბალანსით და ჯორჯო დე კირიკოს ორი შედევი — „ორესტე და ელექტრა“ და „ალფრედო კაზელას პორტრეტი“, რომლებიც მხატვრის შემოქმედების მეტაფიზიკური პერიოდის შემდგომ ევოლუციას წარმოაჩენენ.

ვერანდა ნათელი და განცალკევებული სივრცეა — პორტალუპის ჩანაფიქრით, იგი სალონებს ბალთან აკავშირებს. ზედაპირები სალბისფერ მწვანე ტონშია, იატაკს გეომეტრიული დეკორი ამშვენებს, ხოლო მექანიკური სიზუსტით მოძრავი ალპაკას კარები მშვიდ გარემოს ქმნის, რომელიც შიდა და გარე სივრცეებს შორის ნაწილდება. 1930-იანი წლების ლაპისლაზულის მაგიდაზე განთავსებული აღმოსავლური ვაზები, იმ წლებში საკმაოდ გავრცელებული ეგზოტიკისადმი ინტერესს ასახავს.



ვერანდა

ფიუმუარი ის სივრცეა, სადაც პორტალუპის სტილიდან ბუცის სტილზე გადასვლა ყველაზე თვალსაჩინოა. ბუცი აქ ამატებს რბილ დივნებს, მსუბუქ მაგიდებს, მდიდრულ ბუხარს და თბილ ატმოსფეროს. ეს იყო დები ნეკების საყვარელი ადგილი — სტუმრების მისაღებად, ყავის დასალევად და ჟურნალების საკითხავად. მიუხედავად იმისა, რომ ბუციმ დაფარა პორტალუპის ჩაშენებული კარებები, FAI-მ ისინი რესტავრაციისას აღადგინა.



ფიუმუარი




სასადილო ოთახი საინტერესო დეკორატიულ შრეებს აერთიანებს: პორტალუპის პერგამენტით მოპირკეთებული კედლები და ჭერზე დაბალრელიეფი — ცხოველების, იალქნიანი გემებისა და ზოდიაქოს სიმბოლოების სამყაროთი — ერწყმის ბუცის მიერ შეტანილ ფლამანდიურ გობელენებს, ავეჯსა და დიდ ჭადს, რომელსაც ოთახში მე-18 საუკუნის ელფერი შემოაქვს. ოთახის ცენტრში მდგარ მაგიდაზე მოთავსებულია ალფრედო რავასკოს ბრწყინვალე სუფრის ცენტრული კომპოზიცია — ვერცხლის თევზები ლაპისლაზულის სადგამზე, რაც გამოხატავს ოჯახის ინტერესს ავტორულ ოქრომჭედლობისადმი.



სასადილო

დამხმარე ოთახები ვილის პრაქტიკულ ცხოვრებას ასახავს: მცირე, მაგრამ ტექნოლოგიურად დახვეწილი სივრცეები საჭმლის ამწეებით, განათებული პულტებით, გეომეტრიული გისოსებითა და კარადებში განთავსებული ჯინორის ფაიფურის სერვიზებით, პერსონალიზებული კამპილიოების „C“-თი. ეს სივრცეები ადასტურებს, რომ სახლი ჩაფიქრებული იყო არა მხოლოდ სილამაზისთვის, არამედ სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის.



დამხმარე ოთახი

იარაღის ოთახში ინახება სანადირო თოფები და კაკლის მაგიდა, სავარაუდოდ პორტალუპის დიზაინით შექმნილი. ტიმო ბორტოლოტის სკულპტურები სივრცეს ინტიმურ და ოჯახურ ხასიათს სძენს და გვახსენებს, რომ ეს სახლი აერთიანებდა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და პირად გრძნობებს. მათ შორისაა შვილის, ალბას პორტრეტი — კლაუდია ჯან ფერარის დედის.



იარაღის ოთახი



პირველი სართული

დიდ კიბეს კერძო სართულზე ავყავართ, სადაც ნეკების ყოველდღიური ცხოვრება უცხო თვალისგან მოშორებით მიმდინარეობდა. ცენტრალური ატრიუმი ასე ანაწილებს სივრცეებს: მარჯვნივ — კარადების გალერეა და მფლობელების ორი საძინებელი სივრცე, პირდაპირ — სტუმრების აპარტამენტები, მარცხნივ — გარდერობიერის ოთახი და შემდგომ — გარდერობი. ყველა საძინებელს საკუთარი სააბაზანო აქვს.

ამ სართულზე განთავსებული ხელოვნების ნიმუშები ძირითადად ოჯახის იყო და ვენეციური მხატვრობის მიმართ ნეკების სიყვარულზე მეტყველებს. კარადების გალერეის მარჯვნივ განთავსებული ორი ტილო — პალმა ილ ჯოვანეს „მოგვების თაყვანისცემა“ (მე-17 სუკუნის დასაწყისი) და პიერ დანდინის „ესტერი და ასუერო“ (მე-17 საუკუნის დასასრული) — FAI-სთვის გაღებული შემოწირულობებია.

ანჯელოსა და ჯიჯინას აპარტამენტი პორტალუპი-ბუცის ორმაგ ხელწერას ატარებს: არაბესკული მარმარილოს დიდი აბაზანა პორტალუპის ნამუშევარია — მრავალჭავლიანი შხაპით, აბაზანითა და საინტერესო დიზაინის მქონე ვარსკვლავისებური ფანჯრით; წინასასვენებელი და საძინებელი კი ბუცის დიზაინითაა შესრულებული — ნაქარგი ფარდებით, მე-18 საუკუნის ავეჯითა და სპეციალურად შექმნილი საწოლის თავით. ოთახში დაცულია პირადი, სენტიმენტალური მნიშვნელობის მქონე ნივთები, მათ შორის კატის ფორმის ფაიფურის ფიგურები.



ანჯელოს და ჯიჯინას სააბაზანო ოთახი

პირდაპირ მდებარეობს ნედას აპარტამენტი — ნაზი, მოკრძალებული და თითქმის პოეტური: ინგლისური და ტოსკანური ავეჯი, ბალდახინიანი საწოლი, ღია ფერის ქსოვილები. ბუციმ დააპროექტა განათებული კარადა ნაწილობრივ გამჭვირვალე უჯრებით, რაც შიგთავსის დაუყოვნებლივ დანახვას ხდის შესაძლებელს. განსაკუთრებით საინტერესოა კრისტიან დიორის მიერ დებისთვის სპეციალურად შექმნილი პერსონალიზებული შარფები.



ნედას ოთახი

სტუმრების ორი ოთახი ოჯახის საერთაშორისო კავშირებს ასახავს. „პრინცის ოთახში“ ცხოვრობდა ენრიკო ჰესენი — სამეფო ოჯახის წევრი და ცნობილი სცენოგრაფი, რომელიც ლა სკალას თეატრშიც მუშაობდა. დღეს ეს ოთახი სფორნის კოლექციას მასპინძლობს.



პორტალუპიმ შექმნა დახვეწილი გამყოფი შავი კარსოს მარმარილოთი, რომელიც საძინებელს აბაზანისა და გასახდელისგან სივრცის დახურვის გარეშე ჰყოფს.

სფორნის კოლექცია — ოცდაერთი გრაფიკული ნამუშევარი — იშვიათობაა იტალიური სახლ-მუზეუმისთვის. მოდილიანის რვა ნამუშევარი მხატვრის ხაზის ვარიაციებს აჩვენებს — მკაცრი კონტურებიდან თავისუფალ, ნაკადოვან ხაზებამდე. ოთახებში ასევე გამოფენილია მატისისა და პიკასოს ნახატები და ლუჩო ფონტანას ფასდაუდებელი გრაფიკული ნამუშევარი.

„პრინცესას ოთახში“ ადრე ცხოვრობდა მარია გაბრიელა სავოიელი, დღეს კი აქ განთავსებულია დე'მიქელის კოლექცია, რომელიც FAI-ს 1995 წელს გადაეცა. აქ ვხედავთ ვენეციურ ავეჯს, ძვირფას დეკორატიულ საგნებს, ფაიფურს და ორ შედევრს: კანალეტოს ხელს კანალ გრანდეს შესასვლელზე და ვენეციელი მხატვრის, პასტელისტის, როზალბა კარიერას მე-18 საუკუნის პორტრეტს. ალბასტრის აბაზანა რბილ, გაფანტულ სინათლეს ავრცელებს — სინათლეს, რომელიც პრინცესა მარია გაბრიელას განსაკუთრებით უყვარდა.

გარდერობიერის ოთახი ბუცის მიერ შექმნილი პატარა შედევრია: ელეგანტური ავეჯი და აბრეშუმის კედლის საფარი იალქნიანი გემების დეკორით. საუთოებელში დაცულია მსახურთა ორიგინალი ფორმები — სახლის ყოველდღიური ცხოვრების ცოცხალი მტკიცებულება.



გარდერობიერის ოთახი

ნახევრადსარდაფი

ნახევრადსარდაფის ერთი ნაწილი სტუმრებისთვის იყო განკუთვნილი: აქ მდებარეობდა აუზის გასახდელები და მცირე კერძო კინოღარბაზი — ოჯახის თანამედროვე გემოვნების ნათელი გამოვლენა.

დანარჩენი ოთახები მომსახურების სამყაროს ეკუთვნოდა: დიდი სამზარეულო, ჭურჭლის სარეცხი სივრცე, ვერცხლისთვის განკუთვნილი ოთახი სეიფები და მსახურთა სასადილო ოთახი. ზედა სართულებთან დაკავშირება ხდებოდა ლიფტითა და მომსახურების კიბეებით. არსებობდა დილაკების სისტემა, რომელიც სწრაფ და ეფექტიან მომსახურებას უზრუნველყოფდა — სწორედ იმას, რასაც სახლის მფლობელები ითხოვდნენ.




ნახევრადსარდაფი



აქვე ინახებოდა ნედას თანამედროვე ხელოვნების კოლექცია მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან, რომელიც დების გარდაცვალების შემდეგ, 2000-იანი წლების დასაწყისში, სხვა მემკვიდრეებს გადაეცა.

დღეს ნახევრადსარდაფი მასპინძლობს დროებით გამოფენებს, ღონისძიებებს და მუდმივ ფოტოგრაფიულ ექსპოზიციას, რომელიც ვილის ისტორიასა და FAI-ის მიერ განხორციელებულ დიდ რესტავრაციაზე მოგვითხრობს, დაწყებულს 2001 წლის შემოწირულობის შემდეგ. 2008 წელს სახლ-მუზეუმის ფართო საზოგადოებისთვის გახსნამ, ქალაქსა და მის სტუმრებს მისცა შესაძლებლობა დაენახათ იტალიური მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი — ფუნქციისა და სილამაზის სრულყოფილი ბალანსი.

ვილა ნეკი კამპილიო დღეს FAI-ის საქმიანობის ერთ-ერთი სიმბოლოა: ადგილი, სადაც არქიტექტურის, ლანდშაფტის, ხელოვნებისა და კერძო ცხოვრების შერწყმა ქმნის იტალიური მეოცე საუკუნის ცხოვრების ხელოვნების უმაღლეს გამონათულებას.



ნახევრადსარდაფი

Con il Contributo di

